საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6503/01
10/07/2020

6503-01-2-202007101152

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“
მის: ქ. ბათუმი, ი. აბაშიძის ქ. N6, ბ 2-3

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 2 ივლისის N 9971 წერილი, რომელიც ეხება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მდ. აჭარისწყალზე შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (შუახევი ჰესის - 175 მგვტ და 9,8 მგვტ სხალთა ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2013 წლის 17 ივლისს გაცემულია N36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (ბრძანება No-117; 17.07.2013). წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა ხიჭაურის ტერიტორიაზე განლაგებულია კომპანიის ადმინისტრაციული-საოფისე, ასევე საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და მუშა-მოსამსახურეთა შენობა-ნაგებობები. ტერიტორიაზე შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ქვეკონტრაქტორის (შპს „AGE Batumi”) მიერ მოწყობილია სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა „არსიმაკი“ და სამინისტროში შეთანხმებულია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმები. როგორც წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ დაგეგმილი აქვს ობიექტზე არსებული გამწმენდი ნაგებობის ნაცვლად მოაწყოს ახალი BIOTAL-8 ტიპის გამწმენდი.

ვინაიდან შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა ხიჭაურში არსებული ობიექტი წარმოადგენს შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ძირითად საბაზო ტერიტორიას, რომელიც ფუნქციურად უშუალოდ დაკავშირებულია მდ. აჭარისწყალზე შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (შუახევი ჰესის - 175 მგვტ და 9,8 მგვტ სხალთა ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტთან, სამინისტროში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, რომლის მიხედვით “გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა”.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის

სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირი თავისუფლდება ამ კოდექსით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდისგან.

ასევე გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება შესრულებული უნდა იქნეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სამინისტრო პროექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” დადგენილი წესით და აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

იური ნოზაძე

მინისტრის მოადგილე